

IV

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2012

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი საშუაოსათვის!
ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.**

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის III ნაწილში მოცემული ზოგიერთი დავალების (№№3-17) შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უჭრედები მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უჭრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშაგეთ იგი და მონიშნეთ სხვა უჭრედი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

ყურადღებით გაეცანიტ ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (№1 ან №2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.

ყველა დავალების ბოლოს ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია ადგილი შავი ვარიანტის დასაწერად.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომლის პასუხიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ტექსტში დაშვებულია 18 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. გაასწორეთ ეს შეცდომები და ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მასში არც ერთი სხვა ცვლილება არ შეიტანოთ.

დავადების მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა. გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე) დაიბადა 1904 წელს კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძის ოჯახში. გიორგიმ და მისმა დაძმამ კარგი მუსიკალური განათლება მიიღეს. პეტერბურგის მარიას საბალეტო სასწავლებელის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მოხდა გიორგის საბალეტო დასში ჩარიცხვა მაგრამ მის ექსპერიმენტებს ხელისუფლების უკმაყოფილება მოჰყვა. ბალანჩინმა მეგობრებთან ერთად ქვეყნიდან წასვლა გადაწყვიტეს. იგი მიიწვიეს პარიზის რუსულ საბალეტო დასში სადაც შეთავაზეს, რომ ბალანჩივაძის ნაცვლად ბალანჩინი გამხდარიყო. მალე მან ფეხი დაიზიანა რის გამოც იძულებული გახდა, რომ ცეკვისათვის თავი დაეხებია. ამის შემდეგ იგი მთლიანად გადაერთო ქორეოგრაფიაზე.

30-იანი წლების დასაწყისში იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვიეს. ამ დროიდან დაიწყო ამერიკულ ბალეტის დიდების ხანა და ბალანჩინის მსოფლიო აღიარება. მან გაანვითარა კლასიკური ბალეტი და საფუძველი დაუდო თანამედროვე საბალეტო ხელოვნებას. 1962 წელს ჯორჯ ბალანჩინს მიეცა საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა. მისი დასის გასტროლებმა ძალიან უდიდესი წარმატებით ჩაიარა. ამ სპექტაკლებს მრავალ რიცხოვანი მაყურებელი დაესწრო.

ბალანჩინი გარდაიცვალა 1983 წელს. ქორეოგრაფმა რომელსაც შემკვიდრე არ ჰყავდა მთელი ქონება დასის ბალერინებს უანდერბა. ეს საბალეტო დასი დღეს მის სახელს ატარებს.

შავი სამუშაოსათვის

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (15 + 25 ქულა)

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ვკითხულობთ:

1. „ვთქვა მიჯნურობა – პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.
მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავაღდებიან;
ვთქვენე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან.“
2. მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
मित, რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.
მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეუთა მებრძოლთა მძლეობა.
ვის ესე სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.“
3. მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გაჰრევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!
ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰმორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.“
4. მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,
ნუცა ღხინსა აუზავადეს, ნუცა ჭირსა შეუზარდეს;
მისთვის დათმოს ყველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს,
ნურა ჰგავა, სოფელიცა მისი კერძი გარდაქარდეს.
ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა,
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწვილობასა.
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.
არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა, ჭირთა მალვა,
თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა“.
5. მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
मित, რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.
მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეუთა მებრძოლთა მძლეობა.
ვის ესე სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.“
6. მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გაჰრევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!
ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰმორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.“
7. მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,
ნუცა ღხინსა აუზავადეს, ნუცა ჭირსა შეუზარდეს;
მისთვის დათმოს ყველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს,
ნურა ჰგავა, სოფელიცა მისი კერძი გარდაქარდეს.
ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა,
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწვილობასა.
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.
არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა, ჭირთა მალვა,
თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა“.
8. მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
मित, რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.
მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეუთა მებრძოლთა მძლეობა.
ვის ესე სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.“
9. მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გაჰრევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!
ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰმორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.“

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 3. როგორ ახასიათებს ავტორი „პირველ მიჯნურობას“?
 - ა) როგორც გრძნობას, რომლის გამოხატვაც მხოლოდ ბრძენს შეუძლია.
 - ბ) როგორც გრძნობას, რომლის განცდაც მხოლოდ გამორჩეულ ადამიანს შეუძლია.

- გ) როგორც გრძნობას, რომლის განცდაც ყველა ადამიანს შეუძლია.
 დ) როგორც გრძნობას, რომლის სიტყვებით გამოხატვა უაღრესად ძნელია.
- (1) **4. რას ნიშნავს სიტყვები:** „ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“?
- ა) ვინც ცდილობს ამგვარი სიყვარულისათვის იცხოვროს, მრავალი განსაცდელი უნდა აიტანოს.
 ბ) ვინც ცდილობს ამგვარი სიყვარულისათვის იცხოვროს, სატრფოს ერთგული უნდა იყოს.
 გ) ვინც ცდილობს სამშობლოს ერთგული იყოს, მრავალი ტკივილი უნდა მოითმინოს.
 დ) ვინც ცდილობს ხელმწიფის ერთგული იყოს, მრავალი წყენაც უნდა აიტანოს.
- (1) **5. რა იგულისხმება სიტყვებში:** „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან“?
- ა) საღვთო მიჯნურობას ადამიანური სიყვარული უპირისპირდება.
 ბ) საღვთო მიჯნურობას ბაძავს ადამიანური სიყვარული.
 გ) საღვთო მიჯნურობას ბრძენიც კი ვერ გაიაზრებს.
 დ) საღვთო მიჯნურობას მხოლოდ ბრძენი გაიაზრებს.
- (1) **6. მეორე სტროფის მიხედვით, რის შესახებ საუბრობს ავტორი?**
- ა) მეფისათვის თავგანწირვის შესახებ.
 ბ) მიწიერი გრძნობების შესახებ.
 გ) საკუთარი სატრფოს შესახებ.
 დ) სამშობლოსთვის თავდადების შესახებ.
- (1) **7. რას ემსგავსება ჭკუშიარტი მიჯნურის გრძნობა?**
- ა) კაცობრიობის სიყვარულს.
 ბ) მეგობრის სიყვარულს.
 გ) სამშობლოს სიყვარულს.
 დ) ღვთის სიყვარულს.
- (1) **8. რატომ შეიძლება ეწოდოს მიჯნურს „შმაგი“?**
- ა) იმიტომ, რომ ვეღად გაჭრა და მხეცებთან ყოფნა ახასიათებს.
 ბ) იმიტომ, რომ პირობის შესრულების უნარი არა აქვს.
 გ) იმიტომ, რომ სატრფოს გულისათვის თავის მოკვლა შეუძლია.
 დ) იმიტომ, რომ ჭკუიდან იშლება სატრფოს მიუწვდომლობის გამო.
- (1) **9. რა აზრია გამოხატული სტრიქონში:** „ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა...“?
- ა) ზოგიერთი მიჯნური სამშობლოსადმი სიყვარულს გამოხატავს.
 ბ) ზოგიერთი მიჯნური სატრფოსთან შეყრისაკენ ისწრაფვის.
 გ) ზოგიერთი მიჯნური ღმერთთან მიახლოებისაკენ ისწრაფვის.
 დ) ზოგიერთი მიჯნური ხელმწიფისადმი ერთგულებას გამოხატავს.
- (1) **10. რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი სტრიქონში:** „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა“?
- ა) გაპიროვნებას. ბ) ეპითეტს. გ) მეტაფორას. დ) შედარებას.
- (1) **11. რის შესახებ აფრთხილებს ავტორი მკითხველს სიტყვებით:** „გესმას ჩემი ნაუბარი“?
- ა) არ შეიძლება თავდადებისა და სიყვარულის გაიგივება.
 ბ) არ შეიძლება მეგობრობისა და მრუშობის გაიგივება.
 გ) არ შეიძლება მიჯნურობისა და მეგობრობის გაიგივება.
 დ) არ შეიძლება მიჯნურობისა და მრუშობის გაიგივება.
- (1) **12. რა არის ნამდვილი მიჯნურის თვისება?**
- ა) გულუბრყვილობა. ბ) გულწრფელობა. გ) ერთგულება. დ) სიმშვიდე.
- (1) **13. რა იგულისხმება სიტყვებში:** „ნურა ჰგავა, სოფელიცა მისი კერძი გარდაქარდეს“?
- ა) არ მოერიდოს ვეღად გაჭრას.
 ბ) არ მოერიდოს საზოგადოების უკმაყოფილებას.
 გ) არ მოერიდოს სიკვდილსაც კი.
 დ) არ მოერიდოს ხელმწიფის რისხვას.

- (1) 14. რას გულისხმობს ავტორი მერვე სტროფის პირველ და მეორე სტრიქონებში?
- კარგი მიჯნური ის არის, ვისაც მეგობრის გამო სატრფოს მიტოვება შეუძლია.
 - კარგი მიჯნური ის არის, ვინც სატრფოს გამო არასოდეს გაჭრილა ველად.
 - კარგი მიჯნური ის არის, ვისაც მუდამ ერთი ადამიანის ერთგულება შეუძლია.
 - კარგი მიჯნური ის არის, ვინც სატრფოსთან განშორების სიმძიმეს არ განიცდის.
- (1) 15. კონკრეტულად როგორი ადამიანის შესახებ ამბობს ავტორი: „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“?
- ვისაც შეუძლია სატრფოს გამო აუღებელი ციხე დალაშქროს.
 - ვისაც შეუძლია სატრფოს გამო მეტოქე არ დაინდოს.
 - ვისაც შეუძლია სატრფოს გამო სამშობლოდან გადაიხვეწოს.
 - ვისაც შეუძლია სატრფოს გამო ყოველივე დათმოს.
- (1) 16. რა მნიშვნელობა აქვს სიტყვას „პირველი“ სტრიქონში: „არს პირველი მიჯნურობა არ-და-ჩენა, ჭირთა მალვა“?
- სამუდამო.
 - საუკეთესო.
 - შესაშური.
 - შესაწყნარებელი.
- (1) 17. რომელ სტრიქონში ჩანს ის აზრი, რომ, ავტორის თქმით, ადამიანმა სატრფოსაგან წყენის მოთმენა უნდა შეძლოს?
- „ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა“.
 - „დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა“.
 - „თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა“.
 - „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“.

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღიგებურადაა გაგებელი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაჩნდებოდა, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის ტესტში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნაშუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ახასიათებს ავტორი სიყვარულს ამ ტექსტში.
 - იმსჯელეთ, როგორ ახასიათებს ავტორი იდეალურ მიჯნურს ამ ტექსტში.
 - იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „გორა მბორგალი“:

„რამდენი დრამა და ტრაგედია მოჰყვა ჯერ რევოლუციებს და შემდეგ საქართველოს გასაბჭოებას, ღმერთმა იცის. ერთ მათგანს მოვიგონებ, იმ პერიოდისთვის ტიპურს...“

ძალიან ეშხიანი, ოციოდე წლის, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ქალიშვილი, ინტელიგენტის ოჯახიდან, სცენისმოყვარე ან უკვე მსახიობი. ოცდაათს გადაცილებული, არისტოკრატიული წარმოშობის, წარმოსადეგი გარეგნობის, ხალხში ყველა მაღალი ღირსების მქონე კაცად ცნობილი მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პარლამენტის დეპუტატი, ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და მისი მთავარი ბეჭდვითი ორგანოს რედაქტორი... კლასიკური სამკუთხედის მესამე ელემენტია რიგითი თბილისელი მოქალაქის შვილი, სცენისმოყვარე, პროფესიით მოქანდაკე, უკვე დასახელებულ ორ პერსონაჟზე მეტად თუ არა, არანაკლებ ნიჭიერი და პოპულარული პიროვნება.

ტრაგედია იწყება იმით, რომ მწერალს მსახიობი ქალიშვილის გარდარეული სიყვარული შეეყარა და კარგა ხნის დაუინებელი ტრფიალის შემდეგ ქორწინება შედგა. ქალიშვილს დიდი სიყვარული არ უნდა ჰქონოდა. ეს მომავალში მრავალი ნიშნით დადასტურდა... იქორწინეს, ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ, საზოგადოების გამახვილებული ყურადღება არ მოჰკლებიათ, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ, სანამ... საქართველო გასაბჭოვდებოდა! ერთი სოციალისტები მეორე სოციალისტებმა შეცვალეს. მწერალი იმ სოციალისტებსაც კი ედგა ოპოზიციისაში, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს დროშით აპირებდა სამართლიანი საზოგადოების შექმნას და რა დამოკიდებულება უნდა გამოემქვანებინა იმ სოციალისტების მიმართ, ვინც საქართველოს მომავალს რუსეთის მრავალფეროვანი სახელმწიფოს ფარგლებში გულისხმობდა? ორიოდე დღე დასჭირდა იმას, რომ მწერალი ყოველგვარ სამომავლო პერსპექტივას მოკლებულ, დევნილ პირად ქცეულიყო, ხოლო ახალგაზრდა, ცნობილი მსახიობი ქალი – არსებული ხელისუფლების „მოსისხლე მტრის“ მეუღლედ და თანამოაზრედ. ასეთ ვითარებაში ორთავეს თავისი ადგილი უნდა ეძებნა და ასეც მოხდა. მწერალმა აჯანყების მზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლი იკისრა, არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა და თავისი ადამიანური, მოქალაქეობრივი და ეროვნული მოვალეობების აღსრულებისთვის გადასდო საკუთარი სიცოცხლე.

ახალმა სოციალისტებმა მუშურ-გლეხური ხელისუფლების კოხირი გაითამაშეს... ქვედა ფენებმა ეს აღფრთოვანებით მიიღეს და აქედან გამოსულმა პოპულარებმა საზოგადოებაში წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს – მათ შორის, ზემოხსენებულმა მოქანდაკე-მსახიობმაც, რომლის ძველმა სიყვარულმა მსახიობი ქალის, ახლა უკვე დევნილი მწერლის მეუღლის მიმართ, ახალი ძალით იფეთქა... მწერალს ეძებდნენ, მისი მოკვლის ან დაპატიმრებისთვის ფულადი ჯილდო იყო გამოცხადებული. ცოლს არ აპატიმრებდნენ, მისატყუარად ჰყავდათ, – ქმარი, როცა იქნება, ცოლისა და შვილის სანახავად მოვა და ავიყვანთო. უმწეო ახალგაზრდა მსახიობი ქალის ბინაში დღედაღამ ჩეკისტები მორიგეობდნენ. ისე ჩანდა, რომ ქმრის დაპატიმრებისა თუ მოკვლის შემდეგ ცოლს ციმბირის რომელიმე მიყრუებულ ქალაქში მონაგარიშედ ჯდომა არაფრით არ უნდა ასცდენოდა, თუკი მდევრები ამას დასჯერდებოდნენ. ამ უკიდურესად დაძაბულ ვითარებას დაერთო ისიც, რომ სულ ახლო წარსულში ბედნიერი ცოლ-ქმრის პირმშომ წუთისოფელი უდროოდ დატოვა და ტრაგედია უფრო გამძაფრდა... ქალმა მწერალი მიატოვა, მოქანდაკეს გაჰყვა და ამით თავი იხსნა. სხვა რა უნდა ექნა, რა გამოსავალი ჰქონდა? კეთილი ადამიანები, ისინი, ვინც ამა თუ იმ საქციელის გამართლებას ეძებს და არა დაგმობას, იმასაც კი ამბობდნენ, რომ მსახიობმა მოქანდაკეს ქმრის დაუინებელი მოთხოვნით შეაფარა თავი – გაჰყვა. ცოლ-ქმრის გზები სამუდამოდ გაიყარა.

ქალმა... მწერლისა, სიყვარული თუ არა, მოწიწება და თავყვანისცემა სიცოცხლის დასასრულამდე სიამაყით მიიტანა და რამდენიმეჯერ მის მიმართ თავისი დამოკიდებულების საჯაროდ გამოხატვაც კი გაბედა... ცნობილი ქართველი მოღვაწის გარდაცვალების თარიღის აღსანიშნავ საღამოზე ეს ქალი სიტყვით გამოვიდა, ემიგრაციაში გარდაცვლილი პირველი ქმრის ოდესღაც გამოქვეყნებული მშვენიერი წერილი წაიკითხა, – ერთმა, აწ მივიწყებულმა მწერალმა, ჩვენი იუბილარის დაბადების ორმოცდაათ წლისთავზე ასეთი რამ დაწერაო! მართალია, სტალინი კარგა ხნის მკვდარი იყო, მაგრამ ასეთი სითამამე ამ დროშიც მტრულ გამოხდომად ითვლებოდა. არაფერს დაერიდა, წაიკითხა.

მწერალი თავის ვალსა და მოწოდებას ბოლომდე მიჰყვა და უკიდურესად უიღბლო, მხოლოდ დამარცხებების დაღით აღბეჭდილი ბიოგრაფიის ტრაგიკული მაგალითი შვა. აჯანყება დამარცხდა. აჯანყების ხელმძღვანელობა – „პარტიტეული კომიტეტი“ – მთელი შემადგენლობით იქნა დაპატიმრებული, მწერლის გარდა. ისევ მაღვა და სიკვდილის გამუდმებული საშიშროება, ისევ ოჯახების დაწიოკება, შემფარებელთა დაპატიმრება და მიუსაფარი ადამიანის გან-

ცდები. ასე გაიარა წელიწადზე მეტმა და ბოლოს, ნათესაობის კატეგორიული მოთხოვნით, მწერალი ემიგრაციაზე დათანხმდა. ესეც პრობლემა იყო და მაინც მოხერხდა ერთი შკიპერის დაყოლიება. მწერალი ბათუმში ჩააპარეს. მაშინ მატარებლებს გულდასმით ამოწმებდნენ, ხალხი რეპრესიებს გაუბოდა, ზოგი ხმელეთით, ზოგი ზღვით თურქეთში გადადიოდა... ჩაიყვანეს, შკიპერს ჩააბარეს და გამობრუნდნენ. ორი დღის შემდეგ მწერალმა ქუთაისში მიაკითხა თავის დას, რომელიც იქამად იქაურ თეატრში თამაშობდა. მისი დაბრუნება ბევრმა მსახიობმა გაიგო, მაგრამ არავის გაუცია და სწორედ ისეთმა მისცა თავშესაფარი, ვისზეც ხმა დადიოდა – ჩეკისტების აგენტიაო. ყველა განცვიფრებული იყო, უცხოეთში წასასვლელად გამზადებული კაცი ისევე დევნასა და სიკვდილს რომ დაუბრუნდა. მან კი ასეთი რამ განაცხადა: – ჩემი თანამებრძოლების სამარეებს ვერ მივატოვებ. ჩემს მეგობრებს, ნათესაებს, ერის საუკეთესო შვილებს დაუნდობლად ქლექტენ, ჩემი სამშობლო განსაცდელშია და მე ამ ვითარებაში წასვლას დეზერტირობად ვთვლი. ჩემი ადგილი აქ არის და არა პარიზის კაფეებშიო!.. იქამდე ეთამაშა სიკვდილს, იქამდე აწვალა მღევარი და იწვალა თავად, სანამ ემიგრაციაში მყოფი პარტიული ხელმძღვანელობის კატეგორიული მოთხოვნა მიიღო, საქართველოს გასცლოდა. წავიდა ისევე, როგორც მთელი მისი თაობა წავიდა – ვინ უმჯობეს სამყაროში, ვინ ციმბირში და ვინ ემიგრაციაში. იქ თვრამეტ წელიწადს იყო. ცოლი არ შეურთავს. ცხოვრობდა, ლექსით ამკობდა თავის პირველ და უკანასკნელ სიყვარულს და სინანულით მიტოვებულ სამშობლოს.

დაკრძალულია პარიზის ახლოს, სენტ-უენის სასაფლაოზე.

მსახიობი ქალი სიცოცხლის ბოლო წლებში ზაფხულობით ქვიშხეთში ისვენებდა ხოლმე მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო უფრო მოხერხებულ და პრესტიჟულ კურორტებს სწვეოდა. საქმე ის არის, რომ მან და მწერალმა აქაურ პატარა ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. ეკლესია მწერალთა დასასვენებელი სახლის გვერდით დგას – ძველისძველი, მოუვლელი, მიტოვებული. მსახიობი დიდხნობით იდგა ხოლმე ზურგით სამყაროსგან, იდგა კედელზე შუბლმიდებული და გარინდებული. რისა უნდა ყოფილიყო ის გარინდება? ცხოვრების სიმუხთლეთაგან ნაბოძები ცოდვების მონანიებისა, პირველი ქმრის უკუღმართი იღბლის დატირებისა თუ სიბერის გლოვისა?“

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) **3. რატომ უწოდებს ავტორი ტექსტში აღწერილ ამბავს „იმ პერიოდისთვის ტიპურს“?**
 - ა) საქართველოს გასაბჭოებამ ქვეყნის ცხოვრებაში ახალი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრება განაპირობა.
 - ბ) საქართველოს გასაბჭოებამ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ყველა ადამიანის ქვეყნიდან გადახვეწა გამოიწვია.
 - გ) საქართველოს გასაბჭოებას პოლიტიკური თვალსაზრისით ადამიანების ბედზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.
 - დ) საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დამყარებულმა პოლიტიკურმა რეჟიმმა ადამიანთა ცხოვრება საბედისწეროდ შეცვალა.

- (1) **4. რის ხაზგასმა სურს ავტორს, როცა მოქანდაკეს „რიგითი თბილისელის შვილს“ უწოდებს?**
 - ა) მოქანდაკე დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელი იყო.
 - ბ) მოქანდაკე არისტოკრატიულ წრეებთან იყო დაახლოებული.
 - გ) მოქანდაკე არ გამოირჩეოდა შემოქმედებითი ნიჭით.
 - დ) მოქანდაკეს ბრწყინვალე შემოქმედებითი მომავალი ელოდა.

- (1) **5. რამ განაპირობა მსახიობისა და მწერლის სიყვარულის ტრაგიზმი?**
 - ა) „დაუჩინებელი ტრფიალის შემდეგ ქორწინება შედგა“.
 - ბ) „მწერალს მსახიობი ქალიშვილის გარდარეული სიყვარული შეეყარა“.
 - გ) „ერთი სოციალისტები მეორე სოციალისტებმა შეცვალეს“.
 - დ) „საზოგადოების გამახვილებული ყურადღება არ მოჰკლებიათ“.

- (1) 6. რამ განაპირობა ის, რომ მწერალი ორივე ხელისუფლებას „ედგა ოპოზიციაში“?
- მისთვის მიუღებელი იყო ნებისმიერი ხელისუფლება.
 - მისთვის მიუღებელი იყო სოციალისტური იდეები.
 - მისთვის მიუღებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა.
 - მისთვის მიუღებელი იყო მენშევიკური ხელისუფლება.
- (1) 7. რამ აქცია მწერალი „სამომავლო პერსპექტივას მოკლებულ, დევნილ პირად“?
- მწერალი და მსახიობი საზოგადოებაში „პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ“.
 - მწერალს „არსებული ხელისუფლების „მოსისხლე მტრის“ მეუღლედ და თანამოაზრედ“ მიიჩნევდნენ.
 - გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ყველა ადამიანს დევნიდნენ.
 - გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში დაიწყო განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების დევნა.
- (1) 8. მწერლის ხასიათის რა თვისებებზე მიუთითებს ის, რომ მან „აჯანყების მზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლი იკისრა“?
- მწერალი პარტიული ხელმძღვანელობის ერთგულია.
 - მწერალი დამხობილი ხელისუფლების ერთგულია.
 - მწერალი საბჭოთა ხელისუფლების ერთგულია.
 - მწერალი თავისი ქვეყნის ერთგულია.
- (1) 9. ტექსტის რომელ მონაკვეთშია გამოყენებული ტროპული მეტყველება?
- „პოპულარებმა საზოგადოებაში წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს“.
 - „დაპატიმრებისთვის ფულადი ჯილდო იყო გამოცხადებული“.
 - „მუშურ-გლეხური ხელისუფლების კოზირი გაითამაშეს“.
 - „ცოლს არ აპატიმრებდნენ, მისატყუარად ჰყავდათ“.
- (1) 10. რამ შეუწყო ხელი „მოქანდაკე-მსახიობის“ აღზევებას?
- საბჭოთა ხელისუფლება არისტოკრატიული ფენიდან გამოსულ ხელოვანს სწყალობდა.
 - საბჭოთა ხელისუფლება საზოგადოებაში პოპულარულ ნებისმიერ ხელოვანს სწყალობდა.
 - საბჭოთა ხელისუფლება ნებისმიერი სოციალური ფენიდან გამოსულ ხელოვანს სწყალობდა.
 - საბჭოთა ხელისუფლება დაბალი სოციალური ფენიდან გამოსულ ხელოვანს სწყალობდა.
- (1) 11. რამ განაპირობა მსახიობი ქალის ტრაგიკული ყოფა ქმრის გაუჩინარების შემდეგ?
- საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო მწერლისა და მსახიობის სიყვარული.
 - საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო მსახიობის გამორჩეული ნიჭიერება.
 - საბჭოთა ხელისუფლება დაუნდობლად უსწორდებოდა ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს.
 - საბჭოთა ხელისუფლება დაუნდობლად უსწორდებოდა მოწინააღმდეგის ოჯახს.
- (1) 12. რამ წარმოშვა საზოგადოების ნაწილში აზრი იმის შესახებ, რომ „მსახიობმა მოქანდაკეს ქმრის დაუჩინებელი მოთხოვნით შეაფარა თავი – გაჰყვა“?
- საზოგადოება ამართლებდა მწერლისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას.
 - საზოგადოება გულგრილი იყო მსახიობი ქალის ბედის მიმართ.
 - საზოგადოების ნაწილს სურდა მსახიობის მეორედ გათხოვების გამართლება.
 - საზოგადოების ნაწილს სურდა მსახიობის მეორედ გათხოვების დაგმობა.
- (1) 13. რა მიზანი ამოძრავებდა მსახიობს, როცა ემიგრაციაში გარდაცვლილი ყოფილი ქმრის „მშვენიერი წერილი“ საჯაროდ წაიკითხა?
- იუბილარი მოღვაწისადმი თავისი ღრმა პატივისცემის გამოხატვა.
 - ყოფილი ქმრის წერილის წაკითხვით ხელისუფლებასთან დაპირისპირება.
 - ყოფილი ქმრის ხსოვნისადმი თავისი პატივისცემის გამოხატვა.
 - ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის თავისი ერთგულების ჩვენება.
- (1) 14. რატომ გაუჭირდათ მწერლის ნათესავებს „შვიპერის“ (გემის მეთაურის) დაყოლიება?
- საბჭოთა ხელისუფლებას სურდა, მოწინააღმდეგისათვის ემიგრაციაში წასვლის შესაძლებლობა მიეცა.
 - „შვიპერს“ სურდა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავისი სიძულვილი დაედასტურებინა.

- გ) საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად სჯიდა ყველას, ვინც ადამიანებს ემიგრაციაში წასვლაში ეხმარებოდა.
- დ) „შეიპერს“ სურდა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავისი ერთგულება დაემტკიცებინა.
- (1) 15. მწერლის ხასიათის რა თვისებაზე მიუთითებს ის, რომ სამშვიდობოზე გასვლის შემდეგ ის ისევ სამშობლოში დაბრუნდა?
- ა) მწერლის სიცოცხლის მიზანი სიკვდილთან თამაში და მღვერის წვალება იყო.
- ბ) მწერალი სიცოცხლის აზრს პარტიული ინტერესების განხორციელებაში ხედავდა.
- გ) მწერალს ნათესავების მიტოვება სიცოცხლის ფასადაც კი არ შეეძლო.
- დ) მწერლისათვის სამშობლო საკუთარ სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი იყო.
- (1) 16. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „უმჯობესი სამყარო“?
- ა) გადასახლებას. ბ) სიკვდილს. გ) კეთილდღეობას. დ) ემიგრანტობას.
- (1) 17. რატომ არ სურდა მსახიობს ქვიშხეთზე „უფრო მოხერხებულ და პრესტიჟულ კურორტებს სწვეოდა“?
- ა) მისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ სად დაისვენებდა ხოლმე ზაფხულობით.
- ბ) მისთვის ძვირფასი იყო ხსოვნა მწერლისა, რომელზეც ქვიშხეთის ეკლესიაში დაიწერა ჯვარი.
- გ) სურდა ქვიშხეთში მდებარე „მწერალთა დასასვენებელ სახლში“ ეფიქრა საკუთარ წარსულზე.
- დ) სურდა ხშირად მოენახულებინა ქვიშხეთის „ბეკელისძეველი, მოუვლელი, მიტოვებული“ ეკლესია.

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე ცალკე მოცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის ტესტში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

- გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**
- იმსჯელეთ მთავარი პერსონაჟის, მწერლის, მხატვრული სახის შესახებ.
 - იმსჯელეთ მოცემული ტექსტის მიხედვით, რა გავლენას ახდენს ტოტალიტარული რეჟიმი ადამიანების ბედზე.
 - იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული (ყურადღება მიაქციეთ ავტორის თხრობის მანერას).
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

